დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის "ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის" დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") "ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია" (შემდგომში - ,,ბლუმბერგის ლაბორატორია") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ბლუმბერგის ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ბლუმბერგის ლაბორატორია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. ბლუმბერგის ლაბორატორიის მიზანი და უფლებამოსილებები

1. ბლუმბერგის ლაბორატორიის მიზანია:
ა) უნივერსიტეტში მიმდინარე შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა;
ბ) უნივერსიტეტში კვლევითი შესაძლებლობების გაფართოება;
გ) დერივატივების ბაზარზე ტექნიკური ანალიზის გამოყენებისას შესაბამისი ამოცანების ამოხსნისათვის საჭირო ბაზების შექმნა, ასევე საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და სასაქონლო ბაზრების მონიტორინგი და რეალური ოპერაციების განხორციელება;
დ) ოფციონებისა და სხვა დერივატივების ბაზარზე იურიდიულ ხელშეკრულებებზე მუშაობის შესაძლებლობა სტუდენტებისა და მკვლევართათვის, როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ სეგმენტში;
ე) რეალური და ვირტუალური ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა, როგორც სპოტ ასევე ფიუჩერსულ ფინანსურ ბაზრებზე სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის;
ვ) სტატისტიკური ბაზების გამოყენების შესაძლებლობა სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის;
ზ) ბლუმბერგის პროფესიულ პროგრამაზე წვდომის შესაძლებლობა სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის;
თ) ფინანსურ ბაზრებზე მუშაობის რეალური და პრაქტიკული გამოცდილების მიცემა სტუდენტებისთვის.
2. ბლუმბერგის ლაბორატორიის უფლებამოსილებებია:
ა) Bloomberg Finance L.P. -სა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ბლუმბერგის პროდუქციის მიღება;
ბ) უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ბლუმბერგის ტერმინალის ექსპლუატაციის უფლების მიცემა;
გ) Bloomberg Finance L.P. -ის ლონდონის ოფისთან ურთიერთობის წარმართვა;
დ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით სასწავლო პროცესში მონაწილეობა.

მუხლი 3. ბლუმბერგის ლაბორატორიის სტრუქტურა და პერსონალი

1. ბლუმბერგის ლაბორატორია უნიფიცირებული ერთეულია და არ შეიცავს სტრუქტურულ ერთეულებს. ბლუმბერგის ლაბორატორიისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია – ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი და უფროსი სპეციალისტი.

2. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. ბლუმბერგის ლაბორატორიის სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 4. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

1. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ბლუმბერგის ლაბორატორიის მუშაობას;

ბ) პასუხისმგებელია ბლუმბერგის ლაბორატორიის საქმიანობის განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს პერსონალს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით ბლუმბერგის ლაბორატორიისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), მის მოვალეობას ასრულებს ბლუმბერგის ლაბორატორიის ერთ-ერთი თანამშრომელი, ბლუმბერგის ლაბორატორიის უფროსის დავალების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. ბლუმბერგის ლაბორატორიის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ბლუმბერგის ლაბორატორია სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 6. ბლუმბერგის ლაბორატორიის ფინანსები

1. ბლუმბერგის ლაბორატორიის დაფინანსების წყაროებია:

ა) ლაბორატორიის ფუნქციონირების პირველი 1 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ბიუჯეტით, ლაბორატორიის პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) გრანტების, პროექტების და შემოწირულობების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ბლუმბერგის ლაბორატორიისთვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;
ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავალი.
2. ბლუმბერგის ლაბორატორიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული შემოსავლები უპირველეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს ბლუმბერგის ლაბორატორიის მიმდინარე ხარჯების დაფარვას.

მუხლი 7. ბლუმბერგის ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
ბლუმბერგის ლაბორატორიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.